მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ბაგები-წყნეთის გზატკეცილზე

ახსნა –განმარტებითი წერილი

თქვენი შუალედური პასუხის (გადაწყვეტილება № 5145889) საფუძველზე გაცნობებთ რომ ადნიშნულ პროექტში კონსტრუქციული ნაწილის კორექტირება არ მომხდარა. ნებართვის ადების ეტაპზე 2012 წელს მერიის არქიტექტურის სამსახურში გაგზავნილი იყო მხოლოდ არქიტექტურული პროექტი და მშენებლობის ორგანიზაციის კალენდარული გრაფიკი, ვინაიდან ნებართვის ასარებად კონსტრუქციული პროექტი არ წარმოადგენდა საჭირო დოკუმენტაციას. პროექტის შეთანხმების შემდეგ მოხდა კონსტრუქციული პროექტის დამუშავება, ანგარიშის შესაბამისად მოხდა ცვლილება არქიტექტურულ პროექტში, კერძოდ, გაიზარდა სვეტების და რიგელების კვეთები და დაემატა დიაფრაგმები.

შენობა აშენდა მომზადებული საწყისი კონსტრუქციული პროექტით, რომელიც, ასევე კანონის შესაბამისად წარმოდგენილი იყო მერიის ზედამხედველობის სამსახურში საექსპერტო დასკვნასთან ერთად. შესაბამისად, კიდევ ერთხელ განვიმარტავთ, რომ კონსტრუქციული პროექტი არ შეცვლილა მშენებლობის დროს, არამედ მოხდა არქიტექტურული პროექტის შეცვლა კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად.

ასევე წარმოგიდგენთ სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროს მიერ გაცემულ საექსპერტო დასკვნას, რომელიც გაკეთდა ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე და ვითხოვდით პროექტის მდგრადობის და პროექტთან შესაბამისობის დადგენას. დასკვნაში ადნიშნულია რომ შენობა აშენებულია პროექტის შესაბამისად და სვეტების და სხვა კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობა სტანდარტის შესაბამისია, ასევე მოხსენიებულია რომ ბეტონის მარკიანობა პროექტთან შედარებით ბევრად დიდია

პროექტის მთავარი არქიტექტორი დალი ბენაშვილი

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5006120020

№ 5006120020
13/10/2020 წ.

შპს „ნირან პროპერტის დეველოპმენტი"- ს
წარმომადგენელს

გიორგი მაისურაძეს

თბილისი, ნ.ყიფშიძის ქ. №9 , ბინა №46

ბატონო გიორგი,

თქვენი 2020 წლის 08 ოქტომბრის განცხადების (ბიუროს რეგისტრაციის ნომერი 1006705520) პასუხად წარმოგიდგენთ, სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მომზადებულ 2017 წლის 10 აგვისტოს №003881217 ექსპერტის დასკვნის სათანადო წესით დამოწმებულ ასლს

დანართი: ექსპერტის დასკვნის ასლი - 09 ფურცელი

პატივისცემით,

ტარიელ ზამბახიძე
იურიდიული სამმართველოს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5006120020

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____
(ხელმოწერა)

თარიღი 13.10.2020წ.

003881217

ექსპერტის დასკვნა № 003881217

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ნირან პროპერტის დეველოპმენტი

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ბესიკის ქ., №4, ბ. 62

სახელი და გვარი: სალომე გორგომე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ანატოლი გოგოხია / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 45 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, ჩაატაროთ ექსპერტიზა შპს ''ნირან პროპერტის დეველოპმენტი''-ს საკუთრებაში არსებულ ობიექტზე. კერძოდ ქ. თბილისში, წყნეთის (ს/კ 01.14.06.007.045) გზატკეცილზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის შენობაში 40 ცალ სვეტზე, 4 ცალ რიგელზე, გადახურვის 4 ფილაზე და დაგვიდგინოთ გამოყენებული ბეტონის სიმტკიცე, არმატურის დიამეტრი (რაოდენობა), კარკასის შევსების კედლებში ბლოკის მარკიანობა და მათი კონსტრუქციულ პროექტთან შესაბამისობა. ასევე არმატურის მწარმოებელი ქვეყანა.

შემოსვლის თარიღი: 05/04/2017 წ

გასვლის თარიღი: 10/08/2017 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, წყნეთის (ს/კ 01.14.06.007.045) გზატკეცილზე მდებარე მშენებარე საცხოვრებელ შენობაში დეტალურად შემოწმებული მზიდი რკ/ბეტონის ელემენტების: სვეტების, რიგელების და ფილების ბეტონის სიმტკიცე, არმატურის დიამეტრი და რაოდენობა წარმოდგენილ კონსტრუქციულ პროექტთან შესაბამისობაშია. რაც შეეხება კარკასის შევსების საკედლე ბლოკების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთ სართულებზე კონსტრუქციული პროექტის მიხედვით სამუშაოები დარღვევებით არის შესრულებული (იხილე კვლევის ნაწილი).

ანატოლი გოგოხია

გამოკვლევა

2017 წლის 04 მაისს, 12 და 13 ივნისს ვიზუალურად და დეტალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, წყნეთის (ს/კ

01.14.06.007.045) გზატკეცილზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა.

საცხოვრებელი კორპუსის დათვალიერებით ჩანს რომ შენობა დასრულებული არ არის (ფოტო 1). პროექტით გათვალისწინებული მიწის ზედა 17 და მიწის ქვეშა 3 სართულის ნაცვლად შესრულებულია 13 სართული. კარკასის შევსება განხორციელებულია წვრილი სამშენებლო ბლოკების წყობით (ფოტო 2-:-4). გარკვეული მიზეზების გამო სამუშაოები დროებით შეჩერებულია. დამკვეთის მოთხოვნით პროექტთან შესაბამისობის დადგენისათვის აუცილებელი გახდა სვეტების, რიგელების და გადახურვის ფილების დეტალური გამოკვლევა და დაიგეგმა კვლევისათვის სჭირო ღონისძიებები. კერძოდ: კონსტრუქციული ელემენტების ბეტონის სიმტკიცეზე შემოწმება, არმატურების დიამეტრის (რაოდენობა) და ბეტონის დამცავი შრის განსაზღვრა. მშენებარე ობიექტიდან ლაბორატორიაში გადმოტანილი საკედლე და სატიხრე ბლოკის (ორი ცალი) მარკიანობის დადგენა. სამუშაოები შესრულებული იქნა ბიუროს ნორმატიული, ტექნიკური და ექსპერიმენტალური კვლევების სამმართველოს სპეციალისტების და ექსპერტის ლეონიდ ოკუჯავას მიერ. კვლევის შედეგები ცხრილების სახით მოცემულია დანართად (იხ. დანართი 1).

კვლევის მონაცემები შედარებული იქნა პროექტთან მიმართებაში, რომლის მიხედვით დადგინდა შემდეგი:

რკ/ბეტონის 40 სვეტიდან ბეტონის კლასმა 30-ში შეადგინა B30, 5-ში B27.5 და 5-ში B25. პროექტით B25;

რკ/ბეტონის 4 რიგელიდან ბეტონის კლასმა 1-ში შეადგინა B35, 3-ში B25. პროექტით B25;

რკ/ბეტონის 4 ფილიდან ბეტონის კლასმა ოთხივეში შეადგინა B30. პროექტით B25;

ადგილზე ჩვენს მიერ შემოწმებული მზიდი კონსტრუქციებში არმირება შეესაბამება პროექტით მიღებულ არმირებას. აღსანიშნავია რომ პროექტში მიღებული A-III კლასის არმატურის ნაცვლად ადგილზე გამოყენებულია A500 კლასის არმატურა.

შედარების მონაცემების საფუძველზე ჩანს რომ შემოწმებული ყველა რკ/ბეტონის ელემენტის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მშენებარე ობიექტიდან (-10.8 მ. ნიშნულზე დაწყობილი) გადმოტანილი საკედლე ბლოკების გამოცდების შედეგად, ტიხრის ბლოკის სიმტკიცე კუმშვაზე აღმოჩნდა M25, ხოლო საკედლე ბლოკის M 20, რაც არ აკმაყოფილებს „სესმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09) მუხლი 15, პ 1დ-ს მოთხოვნებს. თვით ბლოკების წყობა შესრულებულია უხარისხოდ, ბლოკებს შორის სიცარიელე ბევრგან ცემენტის შერეული ხსნარით შევსებული არ არის (ფოტო 5-:-8). ადგილზე დეტალური შემოწმებით დადგინდა, რომ წყობის სვეტთან მიმაგრების კვანძი (კოსტრუქციულ პროექტი ფურც. რკ-103) შესრულებული არ არის. გარდა ამისა ბლოკის წყობის კედელი რკ/ბეტონის რიგელთან გაჭედილი არ არის (ფოტო 9; 10). წინა და უკანა ფასადზე 6.8, 17.0 და 27.2 ხოლო უკანა ფასადზე -3.4 ნიშნულებზე მოწყობილი რკ/ბეტონის მონოლითური გადახურვის კონსტრუქცია პროექტთან შეუსაბამოა, კონსოლურ ფიაში შესრულებული არ არის რკ/ბეტონის რიგელი, რაც დარღვევაა.

ზემოთ ჩამოთვიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

ქ. თბილისში, წყნეთის (ს/კ 01.14.06.007.045) გზატკეცილზე მდებარე მშენებარე საცხოვრებელ შენობაში დეტალურად შემოწმებული მზიდი რკ/ბეტონის ელემენტების: სვეტების, რიგელების და ფილების ბეტონის სიმტკიცე, არმატურის დიამეტრი და რაოდენობა წარმოდგენილ კონსტრუქციულ პროექტთან შესაბამისობაშია. რაც შეეხება კარკასის შევსების საკედლე ბლოკების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთ სართულებზე კონსტრუქციული პროექტის მიხედვით სამუშაოები დარღვევებით არის შესრულებული (იხილე კვლევის ნაწილი).

ანატოლი გოგოხია

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003
2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.
3. ГОСТ 22690-88, ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრა ურღვევი კონტროლის მექანიკური მეთოდებით